№ 110 8 თიბათვე, ხუთშაბათი 1866—1878 8 თიბათვე, ხუთშაბათი № 110

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი ივნისიდამ გაზეთი წლის დამლევამდინ ღირს—5 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 6 Ივნისს. Დღეს Ინგლისისა და Ავსტრიის დანდობილ პირებს შუვალოვთან ჰქონდათ მოლაპარაკება, როგორც ამბობენ, ბოლგარიის შესახებ; ამ წინასწარ მოლაპარაკებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. Შემდეგი სხდომა კონგრესსისა, რომელზედაც ბოლგარიის შესახებ მოლაპარაკებას განაგრძობენ, იქნება ხვალ, ნასადილევის 2 საათზე.

## საქართველო

### დღიური

*** როგორლაც გახშირდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში სკანდალები და ულაზათო უწესოება; ყველაზე ფრო ხშირად ეს უწესოება Ალექსანდროვის ბაღში ხდება. Ამ კვირის განმავლობაში, სხვათა შორის, ხსენებულ ბაღში სამი ჩხუბი მოხდა და ყურადღების ღირსია, რომ სამივე ჩხუბი აფიცრებმა მოახდინეს.

Კვირა საღამოს Ალექსანდროვის ბაღში მოსეირნეებმა ნახეს შემდეგი სურათი: ორი აფიცერი და ორი ქალი დასეირნობდნენ წყვილ-წყვილად. Შენინგის პავილიონთან უკანა აფიცერი წაეწია წინ მიმავალს და რაღაზედაც გაცხარებით დაუწყო ლაპარაკი. Უეცრად ამ აფიცერმა გაისვა ხრმალს ხელი.. მეორემ არ მოუცადა, სანამ ეს დაარტყამდა ხრმალს და გაიქცა ბაღიდამ, ხიდს მიმართა; მეორე აფიცერი ხრმალ-ამოღებული უკან მისდევს... Ამბობენ, წინა აფიცერი უფრო ფეხ-მარდი ყოფილა და გაასწროვო.

მეორე შემთხვევაც თითქმ ს ამგვარივე იყო; მხოლოთ აფიცერმა აფიცერი კი არა გიმნაზიელი იფრინა წინ ბულვარზე.

Ბოლოს მესამეჯერ ჩვენ ვიყავით მოწმად იმ შემთხვევისა, როდესაც ერთი ვილაც აფიცერი დასდგომოდა ვილაც სპარსელსა, ამოეღო ხრმალი და ყუით სცემდა. Აქაც ამბობენ ქალის შეურაცხყოფისათვის გამოიდვა პატივცემულ აფიცერმა თავიო.

*** Გუშინდელ „Ობზორში" გადმობეჭდილია „Დროების" 1870—წლის ნომრებიდამ უფ. Ნ. Ნიკოლაძის ერთი ფელტონი—„ძ ვ ე ლ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ა ხ ა ლ ს კ ა ნ შ ი."

რადგან ჩვენ იმ ჰაზრისა ვართ, რომ უფ. Ნიკოლაძე (სკანდელი) ქართულად უკეთ სწერს, ვინემ რუსულად, ამიტომ იმედი გვაქვს იმას არ გაუკვირდება ჩვენი რჩევა—რომ გადათარგმნოს სხვა

## ფელტონი

### გლეხის საღამო

Იდილია

—

I

ზაფხული არის; სამკალის ყანით
მთლად ძინდორია აჭრელებული,
და შრომის შვილი გლეხი ნამგალით
მკის თავის ყანას გაჩქარებული.
Იმის გულიანს „ჰოპმის" გუგუნსა
მთანი და ველნი ბანს დაძახიან;
მწყრები კი ამით შეშინებულნი
ყანის თავშია იპარებიან.

II

Აგერა მზემაც გადაიწვერა,
მღვდელმა ლოცვისა ზარი დარეკა;
მწყემსს გაეხარდა, მორთო სიმღერა
და საქონელი წინ გაირეკა.
პაწაწკინტელა სოფლის ბიჭები
მირეკილს ნახირს წინ მიეგებნენ,
გამოარჩიეს თავეთ ძროხები
და შინისაკენ ერეკებოდნენ...

III

შესწყვიტა გლეხმაც „ჰოპმის" გუგუნი,
ყანაში მწყერიც აღარ ტაყტაყებს;
მხოლოდ მოისმის მტრედის ღუღუნი,
რომელიც პურის ჰკენკავდა მარცვლებს.
Გლეხს უხარიან, რომ მუშაობას
მორჩა. Გაირჯო წელში ნამგალი;
მიდის ახაროს შინ ჯალაბობას,
რომ უხვად არის წელს მოსავალი.

IV

შრომისა შვილო! წლის მოსავალი
ნუ გეგონება, რომ ისე მოსცდეს,
რომ ქირნახულის ახალ მოსვლამდინ
Იგი შენთვისა არა კმაროდეს.
Მაგრამ შენს შრომას, შენს ქირნახულსა
მრავალნი უქმნი შემოსცქერიან;
შენ შრომისგან წელში იხრები
და იგინი კი მხოლოდ მღერიან...

V

Აგერ სოფლისა გამონაპირას
სჩანს მისი სახლი გამოჭიმული,
რომელს სხვა-და-სხვა ხილის ხეები
საამოვნოდ აქვს გარს შემორტყმული.
Აწ გლეხი იქით მიეჩქარება...
Იქ შვილებითა გახარებული
Ცოლი თავის ქმარს მოელოდება,
მისდამი ტრფობით გულ ალესებული...

VI

Აი გლეხიცა მოვიდა სახლში.
Ცოლი შვილებით წინ მიეგება;
ძოროვა კი მწოლი ისევ აკვანში
Ღიმილით მამას ეტოტინება.
Ცოლ-შვილით მტკბარმა ნეტარმა მამამ
ძოცნა მიუძღვნა შვილს ორჯელ ორი;
სათამაშოთა და გასართობლად
მინდვრით მოჰგვარა მწყრისა ჩოჩორი.

VII

საამურია, როს დალალული

თავის ქართული ნაწერებიც. დარწმუნებული ვართ, რომ მაშინ თვითონაც და იმის მკითხველებიც დაინახავენ, რომ „ობზორის“ რედაქტორი, როგორც ქართული მწერალი, მართლა უკეთესი მწერალი ყოფილა, ვინემც როგორც რუსული მწერალი და განსაკუთრებით რუსული გაზეთის რედაქტორი.

*** „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ ამ თვის პირველს ალექსანდრა პოლში საშინელი წვიმა მოსულა და ნიაღვარს ბევრი ზარალი მიუცია ქალაქის მცხოვრებლებისათვის: რამოდენიმე სული დაუღრჩვია, სახლები დაუნგრევია, ბევრი საქონელი გაუფუჭებია, ბაღები წაულეკავს და სხვ. კორრესპონდენტის სიტყვით, სამოც კაცზე მეტი დაუღრჩია ნიაღვარს.

„თფილისის მოამბის“ რედაქციამ ხელის-მოწერა გამართა იქაურ დაზარალებულ მცხოვრებლებისათვის და შესაწირავ ფულებს აგროვებს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 30 მაისს. (დასასრული) ძაღლი თივაზე იწვა, ვერც თითონ სჭამდა და არც ცხვარს აჭმევდაო,—პატურეებსაც ისე უხდება. გლეხი დალუპეს, ყველაფერი ჩამოართვეს—და ბოლოს თითონაც მის გზას მისდევენ.

მაგრამ ეხლა კი სოფიზმები მოდიდგან გამოვიდნენ: სახელმწიფო და საეკლესიო მამული აღარ გაიყიდებაო, პირმოუთვნელათ განცხადებული აქვთ სუყველას. დიახ, ეხლანდელი მოსამართლის ხელში ჩვენი უეზდისთვის ეს დრო სიმართლისა და სინიდისიანობისა დროდ ჩაითვლება..

მადლობელიც უნდა დარჩეს მასვე ხაზინაც, რომ ცოტათ არის მაინც მოასწრო და შემოსავლის წყარო გაუჩინა, რომელიც მალე თუ გვიან სულ ერთიანადა შრებოდა. რაც ჩვენ უეზდში სიღნაღურ მოქალაქეებს ვენახები აქვთ—ცნობაში მოჰყავთ, რათა ხვედრი ხარჯი დაადვან, რომელიც აქამდისინ სულ არ იყო.

როცა ხალხი გაღარიბდა, შკოლებიც მაშინ დაუხსნეს, იქნება მისთვის რომ შკოლა ე. ი. სწავლა, ცოდნა, განათლება გაჭირების ტალკვესია. მასწავლებელი შკოლისა წესისაებრ ხელმძღვანელია სოფლის საზოგადოებისა. მღვდელი ეკლესიაში და მასწავლებელი შკოლაში—ორნივ ერთსა დი იმავე მიზანს მისდევენ: საზოგადობრივი სიკეთეს.

საუბედუროთ ორნივე დღემდისინ უმნიშვნელონი არიან ჩვენში! მიზეზი მისი—სიღარიბე, მატერიალური ნაკლულევანება, ცოტა ცოდნა და სოციალური მდგომარეობა. ამისათვის არა-რა ამათ დაწყობილებას ხანგრძლივი სიცოცხლე და განხორციელება არა აქვს ჩვენში.

ამას დაემატებათ მეზობელთა ურთიერთა-შორის ჭორები და შური, რომელნიც ყველა გვარ კეთილ მოაზრებას და ძვირფას საქმეს ძირიანად და სამუდამოდ ჰფხნევიან. მაგალითების მოსაკრეფად შორს ნუ წავალთ: ამას წინათ ერთმა სოფლის მასწავლებელმა ქარდანახში მოისურვა თავისი ღარიბი შკოლის სასარგებლოთ წარმოდგენა მოეხერხებინა. მოქმედნი პირნი გამოჩნდნენ, ქალებმაც კი მიიღეს მონაწილეობა; მეემზადნენ და ბოლოს ჩაიშალა. რის მიზეზით?—რა მოგახსენოთ: ქარდანახის შკოლის მასწავლებელმა [illegible] მიზეზი, თუ თითონ არ [illegible] დამნაშავე....

დიახ, ასე გახლავს ყოველთვის ჩვენი კეთილი საქმის ბოლო.

„სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძრესო,“ მოსამართლემ, ადმინისტრატორმა რა ქნას, როცა ნიკო-მაკოობა ყველაზე მეტს უკიდურებას ახდენს. ერთმა სოფლელმა კაცმა სიღნაღში ჩამოლალა დარჩეული ბატკნები გასასყიდათ. დასწყევლოს ეშმაკმა, გეზე ვიღაცა ნაცვალი, სიღნაღური ნაცვალი შეჰხვდა და დაუწყო ამ კაცს დავიდარაბა, თუ რა ნება გაქვს აქ ბატკნების გაყიდვისაო. გლეხს გული გაუსკდა, აილო და ფეშქეში მიართვა უვალ ნაცვალს (ნაჩალნიკია და გული მოიგოს). მაშინ უკანასკნელმა გაყიდვის ნება დართო და როგორც გლეხმა გაასალა ნახევარ ფასათ ნაცვლის მტარვალობიდგან დანავსული ბატკნები. იგივე ნაცვალი თევზის ტაქსას თავის ნებაზე ატრიალებს, ასე რომ მეორე მაზრის უფროსი ეს გამხდარა სიღნაღში. ჩვენ ის გვაკვირვებს, მაშ კვარტალი, ჯეელი კვარტალი რაღათ დაბოტებს მეიდანზე, თუ ცხადს ამ გვარ ქცევას ვერ აცნევს; ვერ აცნევს თუ არ უნდა, რომ შეამჩნიოს? როგორც ერთს აქაურ მოსამსახურე პირს აწამებენ შაქრის თავის საქმეს, ვითომც ქრთამათ მიეტანოთ და მას საწყლებისათვის დაერიგებინოს.

გამოჩენილი ახალი ამბავები აქეთკენ არაფერია იმისთანა. რასაც მწერთ ყველას კამენტარია სჭირს, მაგრამ ომიანობაა და იმისთვის უქმია. თქვენი კორესპონდენტის სიტყვით თუქურმიშის

---

კაცი შრომითა სახლში ბრუნდება,
და ცოლი ტროფობით გატაცებული
მხიარულებით წინ შეეყრება!
იმის ღიმილზედ და დანახვაზედ
ტანჯულსა გულსა ესალბუნება
და მოწოლილი დარდები გულზედ
მცირედაც არის შეუმცირდება.

VIII

აი მოვიდა გლეხის ქალიცა,
თეთრ-წითელი და ტურფათ მოსილი;
საკმარი არის მის თვალებიცა,
რომ მთლად შეიპყრას ვაჟ-კაცის გული.
ნეტავი იმას, ვის ბედიც ის არს,
ვისაც მეუღლედ იგი შეხვდება;
მას ტანჯვა-შრომის შუა-მყოფელი
არც ერთსა წამსაც არ მოაკლდება!

XI

ყველანი შეკრბნენ; გულ მხიარულნი
ერთმანეთს ჰკითხვენ ახალსა ამბებს,
და კერის ახლოს ეს კურთხეულნი
ზანატარებდნენ ტკბილად ღამეებს.
მამა თვის შვილებს თვალს არ აშორებს,
მათი ტიკტიკი მას გულს უხარებს;
დედას კი ხელში ნევსი უჭირავს
და უნცროს შვილსა პერანგს უკერავს.

X

ჩუ! ვიღასიცა ფეხის ხმა ისმის,
ვგონებ ეწვიათ ვიღაც სტუმარი!
გლეხის ქალი კი ხმაზევე მიხვდა,
რომ ეს მისული მის საქმრო არი.
ქალსა სიწითლე სიყვარულისა
მთლად სახეზედა გარდაეფინა
და სიხარულით ეშხისა ცრემლი
შავთა თვალთაგან გადმოედინა.

XI

ოხ, სიყვარულო! ნეტავი იმას,
ვის გემო შენი აქვს გაღებული;
გულის ალმტაცო, ცხოვრების წყაროვ,
ვისგნით ხარ ქვეყნად მოვლინებული?
თვით ღვთაებრივი მასწავლებელი
უქადაგებდა ხალხს სიყვარულსა;
მეც მას თაყვანს ვცემ, თუმც დღევანდლამდის
იგი უწყალოდ მიკოდავს გულსა....

XII

მაგრამ სუფრაცა აგერ გაშალეს;
შრომისა შვილნი გარს შემოუსხდნენ
და ერთმანეთის სადღეგრძელოებს
ყანწებით ღვინოს შეექცეოდნენ.
სტუმრის მოყვარე გლეხისა ცოლი
უხვად რძეს, მაწონს ეზიდებოდა;
„ყველი, პური და კარგი გულიო!“
გლეხი სასიძოს ეუბნებოდა.

XIII

ვახშამსაც მორჩნენ. ყველანი კერას
მხიარულათა გარს შემოუსხდნენ
და ხვალინდელის დღისა შრომასა
ერთმანეთშია ინაწილებდნენ.
გაინაწილეს. დერეფანშია
დასაძინებლად ყველანი დაწვნენ,
რომ ადრიანად ხვალ მინდორშია
ქვალად ყანისა მკას შესდგომოდნენ.

სოსიკო ბაქრაძე

11 მაისს 1878 წ.

პრისტავი ვითომ დათოკილი სიღნახში ჩამოეყვანოთ რაღაცა დანაშაულობაზე. ეს სიცრუე გახლავთ და ყურადღება არ მიაქციოთ, რომ ვინმე შეცთომილებაში არ შეიყვანოთ. დათოკილი კი არა, პრისტავს სასუდეთაც არა ფერი უჭირს...

* * *

# თეატრი

## „ძალათ ექიმი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“

### ქუთაისის სცენაზედ

ამ თვის 12 ქართული სცენის მოყვარეებმა სცენის სასარგებლოდ წარმოადგინეს თ. გ. ერისთავის კომედიები: „ძალათ ექიმი“ (ორ მოქმედებად) და „უჩინ-მაჩინის ქუდი“ (ერთ მოქმედებად).

ეს კომედიები, რასაკვირველია, არ არიან შესანიშნავი თავისი იდეიით, — ამათი ღირსება უმეტეს იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ სასაცილო და მახარული პიესებია. როგორც საზოგადოთ ყველა მხიარული პიესები, ეგრეთვე ესენიც თხოულობენ მარდათ როლის შესრულებას; ეს მოთხოვნილება არ არის საძნელო ქუთაისის ქართული სცენის მოყვარეთათვის, და იმედიც გვქონდა, როცა აფიშები გამოიცა, რომ წარმოდგენა ძრიელ კარგათ წავიდოდა.

მაგრამ ამ ჩვენს მოლოდებაში მოვტყუვდით, — წარმოდგინება ვერ წავიდა ჩვეულებრივ კარგათ.

„ძალათ ექიმში“ უმთავრესი როლი მათუას როლია და ამ როლის შესრულებაზედ არის დამოკიდებული პიესის კარგათ წასვლა. მათუას როლი შეასრულა უ. მენატეშვილმა, რომელმაც თუმცა კი ძრიელ აცინა მაყურებლები, მაგრამ „როლში შესვლა“ კი მაინც ვერ გამოიჩინა: როგორღაც დუნეთ, რბილათ თამაშობდა და მხოლოდ ხანდისხან გამოცოცხლდებოდა და გამოიფხიზლებდა. ამ როლის ცუდათ შესრულებამ ბევრი ავნო პიესის სასაცილო და მხიარულ მხარეს.

აგრეთვე ბევრი ავნო კარგათ წარმოდგენას ივანეს როლის ცუდათ შესრულებამ. უ. ქურციკიძე ამ როლში ჯერ ერთი ნამეტან როლის-და-შეუსაფერ ქაბუკათ სჩანდა და მეორე — სრულებით „ვერ შევიდა როლში“, რომლის გამო სრულიად დაიკარგა იმისთანა სცენები, როგორიც ივანეს გაცხარება, როცა მისი ქალი მელანია თამამად და შეუპოვრად ეუბნება, რომ ლევანის მეტს ქმარს არ წაჰყვება, - და იმისთანა სცენა, როგორიც ივანეს გაბრაზება და ექიმზედ დამუქრება, როცა გაიგებს, რომ იმან ლევანს მელანია მოატაცებინა. ძრიელ ულაზათო გამოვიდა ის სცენაც, სადაც ლევანი მელანიათი ივანესთან ბრუნდება და უცხადებს, რომ აღარ უნდა მის უნებაყოფლოთ შეირთოს მისი ქალი, რადგან მიიღო ბიძის გარდაცვალების ამბავი და შეიქნა დიდი ქონების მემკვიდრეთ. უ. ქურციკიძემ არავითარი სულითადი მღელვარება არ გამოხატა არც მაშინ, როცა პირველათ შეხედა ლევანს მელანიას მოტაცების შემდეგ და არც მაშინ, როცა ლევანმა შეატყობინა, რომ ის აღარ არის დასაწუნარი სიძე ბიძის სიკვდილის შემდეგ.

„უჩინ-მაჩინის ქუდი“ კი შედარებით „ძალათ ექიმთანა“ კარგათ წავიდა. მთელი წარმოდგენის დროს საზოგადოებას სიცილისაგან არ მოუსვენია, რადგან ძრიელ კარგათ ითამაშეს უ. ბარხუდარიანცმა და უ. ყაფიანმა. უ. ბარხუდარიანცს თუმცა კი შეამჩნევდა პიესის დაწვრილებით მცოდნე, რომ როლი არ ქონდა გაზეპირებული და ზოგიერთმონოლოგებს უადგილოდ ლაპარაკობდა, მაგრამ ამითი არაფერი დაუშავებია, რადგან თამამად თამაშობდა და ფარავდა ამ ნაკლულევანებას, რასაკვირველია, სუფლიორის შემწეობითაც.

საზოგადოთ თითქმის ყველა წარმომადგენელთ პირებს ეტყობოდა როლის გაუზეპირებლობა, და არ იზამენ ცუდს ჩვენი სცენის მოყვარენი, რომ ძრიელ არ დაენდობოდნენ სუფლიორს.

მაყურებელთაგანი

# ომის ამბები

## ომის შემდეგ

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 30 მაისს პარიჟიდამ მიღებული:

„კონგრესზე დასასწრებელად დანიშნულს ოსმალეთის წარმომადგენლებს მინდობილი აქვთ თავიანთ მმართებლობისაგან სთხოვონ კონგრესს: 1) რომ ჩრდილოეთი ბოლგარია ისევ ოსმალეთის ხელში დარჩეს, 2) ყარსი არ ჩამოერთვას ოსმალეთს, 3) რუმინია ხელუხლებელი და დამოუკიდებელი იყვეს და 4) ბათუმი შეიქნეს თავისუფალი ნავსადგური (პორტო-ფრანკო).“

—

ბერლინის კონგრესზე წასვლის წინეთ ავსტრო-ვენგრიის სამინისტროს თავსმჯდომარეს გრაფ ანდრადის გამოუცხადებია ბიუჯეტის კამისიაში, რომ „თუ კონგრესმა არ მიიღო მხედველობაში ავსტრო-ვენგრიის ინტერესები და არ დააკმაყოფილა ყველა ჩვენი მოთხოვნილება, ჩვენ თოფ-იარაღს მოვკიდებთ ხელს და შევუდგებით ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.“

ამავე მინისტრმა პეშტის დეპუტატების პალატაში სთქვა, რომ სამი იმპერატორის (რუსეთის, გერმანიისა და ავსტრო-ვენგრიის) კავშირი აღარ არსებობს.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ კონგრესსი იკრიბებაო, მაგრამ, რადგან ნამდვილი კაცმა არ იცის — მშვიდობიანათ გათავდება ინგლისსა და რუსეთს შუა განხეთქილება, თუ არა ამის გამო სტამბოლის მახლობლად დაბანაკებული რუსის ჯარები ახალ სიმაგრეებს აკეთებენო და თავის პოზიციებს ამაგრებენო.

—

„Indép. Belge“-ში იწერებიან:

„რუსეთმა შეატყობინა ოსმალეთს, რომ იმედი გვაქვსო კონგრესსის შეკრების გამო ოსმალეთის მთავრობა არ დაარღვევს სან-სტეფანოს მორიგების პირობასაო. ამბობენ, ოსმალეთმა უპასუხა, რომ ეს პირობა ძალ-დატანებით იყო შეკრული და ამის გამო, თუ კონგრესსი გამოცვლის ჩვენდა-სასარგებლოდ ზოგიერთ მუხლებს, რასაკვირველია, ჩვენ წინაღმდეგობას არ გაუწევთო.

—

ჩვენს ოფიციაულურს გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ლენ.-ლეიტ. ტერ-ლუკასოვი დაინიშნება კავკაზიის გრენადერის დივიზიის უფროსად და ამასთანავე იმ ჯარების უფროსად, რომელნიც ალექსანდრაპოლისა და ახალქალაქის უეზდში არიან დაყენებულნი. გენერალ-მაიორი დენიბეგოვი დანიშნულია თერგის ჯარის უფროსის განკარგულებაში.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

**ისყიდება: თფილისში** — ყველა წიგნის მაღაზიებში,

**ქუთაისში** — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
**„მული, რძალი და მაზენიკები“**
სამ-მოქმედებიანი დრამმა
**ალ. ა. თუთაევისა**

---

**ქ. გორში არის ხუთ-თვალიანი გასაქირავებელი სახლი**

**უფ. ჟურულისა** თავის სამზარეულო-თი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით.

ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება გორში უფ. ალალო თუთაევ-თან.

---

უფროსის კლასის **გიმნაზიელს** ჰ'ურს **ძლიოს გაკვეთილები პროგიმნაზიის საგნებიდამ.**

მსურველს შეუძლია ადრესსი იკითხოს ფოჩტაში, ჩინოვნიკ შაშელთან.

---

**ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში**

# ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპო-ვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ და-იბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.**

---

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი ქვერი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიშვილს, (პუკიაში, ელისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრუ-ლობს ამ კვერების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

---

**ქუთაისში**
**ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიო-თეკაში ისყიდება:**

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კო-მედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთვე-ლისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქარ-თული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში— ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

# ბატონიშვილი

**ირაკლის პირველი დრო**
**ანუ თავდადება ქართველთა**
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგინ.
**ფასი ექვსი შაური**

---

# ტყავის ქარხანა თფილისში

დამოყნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-და-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რო-მელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთ-თვის სასყიდლად ეჭირებათ, რომ ამ **ქარხანაში კეთდება და მუდამ მოი-პოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, ჩექმებისა, კარე-ტის და ფაეტონებისა, ჩემოდანისა, ლა-ნჩა და სხვ.**

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტო-რაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრე-თვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვე-თოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი ისყიდება მაღა-ზიაში, სიონის პირ-და-პირ.

---

**გამოვიდა და ისყიდება**
**„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“**
კომედია ალ. თუთაევისა

**ისყიდება:** ქალაქში—ყველა წიგ-ნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვ-თან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილ-თან, ქარელს—დავით ქეროჩაშვილ-თან, **ხაშურისა** და **ბექათუბნის** უფჩეტში, **სურამს**—ზაქარია არუ-წოვთან, **ქუთაისს**—იაკობ ოჰანე-ზოვთან და სვ. ცერვაძესთან **ფოთში**—მლისბარ ბაბალოვთან, **ცხინვალს**—თ. ივ. თაქთაქოვთან, **საქაშეთს**—თ. ნიკ. დიასამიძესთან, **მეჯვრის-ხევს**—მასწ. მოსე ნათაძესთან, **გორ-ში**—სტ. ზომლეთთან და თვითონ ავ-ტორთან.

---

# ახალი წიგნი

**„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“**
ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: **თფილისში**—ვართანო-ვის წიგნის მაღაზიაში.

**ქუთაისში**—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

---

**ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში**
ქუთაისში—ისყიდება
ქართული წიგნი

# „სამზარეულო“

შედგენილი
ქ-ნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.
**ფასი ათი შაური.**

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი. | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ტელეგრაფი**

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გა-რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 7 ივნისს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 40 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | 30 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 15 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | 5 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 5 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 70 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 99 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, გოლც. ფუთი . | 7 | 70 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

**თფილისის სამკურნალო**

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

**ორშაბათს:** ქიუჩარიანცი—ხი-რურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და გახუტონი—ბებიობის თვალის.

**ოთხშაბათს:** ვერმიშევი—ში-ნაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—ში-ნაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. გახუტოვი და ქიუჩარიანცი.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგანი ავათ-მყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Іюня 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.